სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 ნოემბერი, 2024 წ.

ბრძანება N 01-08/979

ბსუ-ს სტუდენტებისათვის ,,აგრო სტიპენდიის" დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2024 წლის 24 ოქტომბრის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის თანახმად 2024 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული „აგროსტიპენდიის" ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების, ,,აგროსტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტის შესარჩევი კონკურსის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის N01-02/197 ბრძანების, რექტორის მივლინების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 28 ნოემბრის N01-14/668 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბრის №1528714 სამსახურებრივი ბარათისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 28 ნოემბრის №1531296 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში წინამდებარე ბრძანების N1 **დანართით** განსაზღვრულ ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის 2 სტუდენტს და ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა" 1 ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტს დაენიშნოს და გაიცეს **,,აგროსტიპენდია"** (საბაკალავრო პროგრამის თითოეული სტუდენტისათვის 1000 ლარი, ხოლო პროფესიული სტუდენტისათვის - 500 ლარი).
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა აცნობოს სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში) და სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს".
3. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები").
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სტრატეგიული განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ა. ბერიძე**

,,ბსუ-ს სტუდენტებისათვის ,,აგრო სტიპენდიის“ დანიშვნისა და გაცემის თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის N 01-08/979 ბრძანების
N1 დანართი

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,აგროსტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამის 2 სტუდენტი და ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეგაღეობა" პროფესიული სტუდენტი

,,აგრო სტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს სტუდენტი/ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	სწავლების საფეხური/საგანმანათლებლო პროგრამა	,,აგრო სტიპენდიის“ ერთჯერადი ოდენობა (ლარი)
ლიკა ხარაძე		ბაკალავრიატი/,,აგრარული ტექნოლოგიების“ მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი
ლია დავითაძე		ბაკალავრიატი/,,აგრარული ტექნოლოგიების“ მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი
ევა-მარია ემელიანოვა-სურიკი		პროფესიული პროგრამა /,,მეგაღეობა“	500 ლარი